4
ბ-836

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თინათინ ლაზირის ასული ბოლქვაძე

# პოეტური პარალელიზმი "ვეფხისტყაოსანში"
## (ლინგვისტურ-ტიპოლოგიური კვლევა)

სპეციალობა 10.02.01 – ენათმეცნიერების
თეორია და ისტორია
10.02.03 – ქართველური ენები

სადისერტაციო მაცნე
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თ ბ ი ლ ი ს ი
1995

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კორნელი დავითის ძე დანელია

კონსულტანტი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ვალერიანის ძე რამიშვილი

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იზაბელა ლეონტის ასული ქობალავა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ავთანდილ ირაკლის ძე არაბული

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ცოტნე ბესარიონის ძე კიკვიძე

დისერტაციის დაცვა გაიმართება 1995 წლის 27.09. 13.00 სთ-ზე თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს P 10.02 C № 10-6 სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

"სადისერტაციო მაცნე" დაიგზავნა 1995 წლის 25 აგვისტოს

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი, ფილოლ. მეცნ.
დოქტორი, პროფესორი ე. ი. ნიბახაშვილი

1506

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. თანამედროვე რუსთველოლოგია ძირითადად იკვლევს "ვეფხისტყაოსნის" 1) ზოგად იდეას 2) პოემის ენას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, ნაწარმოების ენის შესწავლას ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით და, მეორე მხრივ, რუსთაველის ენის პოეტურ თავისებურებათა კვლევას. ორივე შემთხვევაში საუბარია ერთსა და იმავე საკითხზე მხოლოდ ერთმანეთისაგან განსხვავებული მიდგომით და პრობლემის სხვადასხვაგვარი გაშუქებით. 3) ყოველივე ეს უმჭიდროეს კავშირშია "ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენასთან, რაც კვლავ რჩება რუსთველოლოგიის ძირითად პრობლემად.

მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, პოემის ენის კვლევისა და ტექსტის დადგენის მიმართულებით რუსთველოლოგთა მიერ მოპოვებული წარმატებები საშუალებას იძლევა უფრო გლობალური თვალსაზრისით მივუდგეთ "ვეფხისტყაოსანს" – გამოვიყენოთ იგი საცდელ ველად, საექსპერიმენტო სივრცედ, რათა ვიკვლიოთ ენის სხვადასხვა დონეთა როლი პოეზიაში. ამის გარეშე შეუძლებელია ენის ფუნქციონირების, მისი ისტორიის ბოლომდე გაგება; ხოლო მიღებულ ლინგვისტურ დასკვნებზე დაყრდნობით ხელი შევუწყოთ სერიოზული აღწერითი და ისტორიული პოეტიკის შექმნას.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია პოეტური პარალელიზმის, როგორც სტროფის თემატურ-კომპოზიციური გამთლიანების საშუალების კვლევა "ვეფხისტყაოსანში". საერთოდ, პოეტიკისა და ენათმეცნიერების ცოცხალი კავშირის აუცილებლობა ყველაზე კარგად პოეტურ მოდელებზე დაკვირვებისას ვლინდება. პოეტური პარალელიზმი, ერთი მხრივ, რუსთაველის ენობრივი სპეციფიკის მექანიზმს აგვახსნევინებს და, მეორე მხრივ, გამოავლენს ზოგადად ენის სხვადასხვა დონეზე მოქმედ კანონზომიერებებს. მიზნად დავისახეთ გვეჩვენებინა თანამიმდევრული პარალელიზმი როგორ აქტიურებს ენის ყველა დონეს – ფონემური და